

საქართველოს გარემოს დაცვისა და  
სოფლის მეურნეობის სამინისტროს  
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

ინდივიდუალური მეწარმე „მაკბეტ მანასიანი“-ს

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

წარმოგიდგენთ ქვის სახერხი საამქროს სკრინინგის განცხადებას, მოგახსენებთ, რომ ნინოწმინდის რაიონი, სოფელი მამზარაში გამაჩნია ქვის სახერხი საამქრო, ნაკვეთის დანიშნულება არის არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების, ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი არის 1600 კვ.მ. უახლოესი დასახლებული პუნქტიდან დაშორებულია 0,3 კმ ით, კოორდინატები: X374251 X Y 4574276;

საწარმო მუშაობს 2009 წლიდან და საჭირო გადასამუშავებელი მასალის (ბაზალტის ქვის) შეძენას ახდენს ლიცენზირებული წიაღით მოსარგებლისაგან. საპროექტო გადაწყვეტილებათა მიხედვით საწარმოში, გათვალისწინებულია წლიურად დამზადდეს 5000 მ<sup>3</sup> მოსაპირკეთებელი ბაზალტის ქვა, რომლისთვისაც საჭიროა 200 მ<sup>3</sup> ბაზალტის ქვა. საწარმოს მუშაობის რეჟიმია 260 დღე, დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა, საწარმოს საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ ეკონომიკურ გარემოზე.

საწარმოს გააჩნია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ანგარიში, რომელიც შეთანხმებული აქვს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტთან 2009 და 2014 წელს და აღნიშნული ანგარიშების მიხედვით ფიქსირდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 3 არაორგანიზებული წყარო (ორი მრგვალხერხა ჩარხიდან და ერთი ჩარჩო ხერხიდა გაფრქვევის წყაროები )



მოგახსენებთ, რომ საწარმოში, სადაც იყო ორი მრგვალხერხა ჩარხი და ერთი ჩარჩო ხერხი მუშაობდა სველი მეთოდით, მიმდინარედ დაემატა ქვის ფილების კუთხეების საფრეზი ჩარხი ქვის დახერხილი ფილების კუთხეების საფრეზად, რომელიც მუშაობს მშრალი მეთოდით.

აღნიშნულიდან გამომდინარე საწარმოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის შედეგად უკვე ფიქსირდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 4 არაორგანიზებული წყარო (ორი მრგვალხერხა ჩარხი, ერთი ჩარჩო ხერხი და ერთი ქვის ფილების კუთხეების საფრეზი ჩარხი). საწარმდან გაფრქვეული ჰაერის ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებაა არაორგანული მტვერი. ქვის მშრალი მეთოდით დამუშავებისას წარმოქმნილი მტვერის წამური და წლიური რაოდენობა იანგარიშება ფორმულებით:

$$DM_{wamuri} = 0,108 \times 10^{-4} \times b \times v \times H \times 6 \text{ g/wm}$$

$$DM_{wliuri} = 0,648 \times 10^{-6} \times b \times v \times H \times 6 \text{ t/wel}$$

სადაც:

b – განახერხის სიგანე, მმ;

v – მიწოდების სიჩქარე, მმ/წთ;

H – დასამუშავებელი მასალის სისქე, მმ;

L – წელიწადში განახერხის ჯამური სიგრძე, მ/წელ;

6 – დასამუშავებელი მასალის სიმკვრივე, გ/სმ<sup>3</sup>;

ქვის ფილების კუთხეების საფრეზი ჩარხი, მუშაობს მშრალი მეთოდით, ფრეზვის სისქეა 20 მმ, ერთ საფრეზო ჩარხს 1 საათში შეუძლია 40 მმ სისქის ქვის კუთხის 2 გრძივი მეტრის დაფრეზვა (სიჩქარე 33,3 მმ/წთ), ამასთან 4 ის შესაბამისად, თუ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მტვერის გამოყოფა ხდება დახურულ სივრცეში, გამოიყენება კოეფიციენტი 0,4.

ქვის სველი მეთოდით დამუშავებისას ზემოაღნიშნულ ფორმულაში გათვალისწინებულ უნდა იქნას გაფრქვევის შემასწორებელი კოეფიციენტი, რომელიც ტოლია 0,01 –ის;

აღსანიშნავია, რომ ორი მრგვალხერხა ჩარხი და ერთი ჩარჩო ხერხი იმუშავებს სველი მეთოდით, ხოლო, ქვის ფილების კუთხეების საფრეზი ჩარხი (რომელიც ამჟამად დაემატა), იმუშავებს შშრალი მეთოდით.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართით 5.1 პუნქტით „სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება“ გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი N1 -დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები

დანართი N2 - შიდა საკადასტრო აზომვითი ნახაზი გაფრქვევის წყაროების ჩვენებით

დანართი N3 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

პატივისცემით

მაკბეტ მანასიანი

ინდივიდუალური მეწარმე



დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები

1. პროექტის განხორციელების ადგილი: ნინოწმინდის რაიონი, სოფელი მამზარა ქვის სახერხი საამქრო, ნაკვეთის დანიშნულება არის არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების, ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი არის 1600 კვ.მ, უახლოესი დასახლებული პუნქტიდან დაშორებულია 0,3 კმ ით, კოორდინატები X374251 X Y 4574276
2. საქმიანობის მასშტაბი: ქვის სახერხ საამქროში გათვალისწინებულია წლიურად დამზადდეს 5 000 მ<sup>2</sup> მოსაპირკეთებელი ბაზალტის ქვა, რომლისთვისაც საჭიროა 200 მ<sup>3</sup> ბაზალტის ქვა
3. საწარმოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის შედეგად არსებულ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 4 არაორგანიზებული წყაროდან (ორი მრგვალხერხა ჩარხი, ერთი ჩარჩო ხერხი და ერთი ქვის ფილების კუთხეების საფრეზი ჩარხი). საწარმოში გაფრქვეული ჰაერის ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებაა არაორგანული მტვერი.

ერთ ქვის ფილების კუთხეების საფრეზი ჩარხზე ქვის მშრალი მეთოდით დამუშავებისას წარმოქმნილი მტვერის წამური და წლიური რაოდენობა იანგარიშება ფორმულებით:

$$DM_{wamuri} = 0,108 \times 10^{-4} \times b \times v \times H \times 6 \text{ g/wm}$$

$$DM_{wliuri} = 0,648 \times 10^{-6} \times b \times v \times H \times 6 \text{ t/wel}$$

სადაც:

b – განახერხის სიგანე, მმ;

v – მიწოდების სიჩქარე, მმ/წთ;

H – დასამუშავებელი მასალის სისქე, მმ;

L- წელიწადში განახერხის ჯამური სიგრძე, მ/წელ;

6 – დასამუშავებელი მასალის სიმკვრივე, გ/სმ<sup>3</sup>

ქვის ფილების კუთხეების საფრეზი ჩარხი, მუშაობს მშრალი მეთოდით, ფრეზვის სისქეა 20 მმ, ერთ საფრეზ ჩარხს 1 საათში შეუძლია 40 მმ სისქის ქვის კუთხის 2 გრძივი მეტრის დაფრეზვა (სიჩქარე 33,3 მმ/წთ), ამასთან 4 ის შესაბამისად, თუ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მტვრის გამოყოფა ხდება დახურულ სივრცეში, გამოიყენება კოეფიციენტი 0,4.

ორი მრგვალხერხა ჩარხზე და ერთ ჩარჩო ხერხზე ქვის სველი მეთოდით დამუშავებისას ზემოაღნიშნულ ფორმულაში გათვალისწინებულ უნდა იქნას გაფრეზვის შემასწორებელი კოეფიციენტი, რომელიც ტოლია 0,01 –ის;

#### 4. გამოყენებული ნედლეულის სახეობა და ხარჯი :

ქვის სახერხ საამქროში გათვალისწინებულია წლიურად დამზადდეს 5000 მ<sup>2</sup> მოსაპირკეთებელი ბაზალტის ქვა, რომლისთვისაც საჭიროა 200 მ<sup>3</sup> ბაზალტის ქვა

#### 5. საქმიანობის ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება:

ქვის სახერხი საამქროს ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან მის უშუალო სიახლოვეს ანალოგიური ტიპის ქვის სახერხი საამქრო არ ფუნქციონირებს.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან სპეციფიკიდან გამომდინარე ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარი არ არის საწარმოში.

#### 6. ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება:

ნიადაგის და გრუნტის ხარისხი – საქმიანობის განსახორციელებლად არსებული ტერიტორია არასასოფლო სამეურნეო დანიშნულებისაა, , ზემოქმედება ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე მოსალოდნელი არ არის.

წყლის რესურსები – საწარმოსთვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოგარენში, ასევე მის სიახლოვეს არ არის ჭარბტენიანი ტერიტორიები, წყალსარგებლობას ანხორციელებს 200 მეტრში არსებულ უსახელო ნაკადულიდან, აღნიშნულთან დაკავშირებით შემუშავებული

აქვს ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც შეთანხმებული აქვს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, 50 მ დაშორებით მდებარეობს ხელოვნური წყალსაცავი, ქვის სახერხი საამქროს სპეციფიკიდან გამომდინარე არ იგეგმება მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარის გამოყენება, შესაბამისად საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი.

დაცული ტერიტორიები – საწარმო არ მდებარეობს დაცულ ტერიტორიასთან სიახლოვეს, შესაბამისად ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

ბიომრავალფეროვნება – საწარმოს ტერიტორია თავისუფალია ხე-ბუჩქოვანი მცენარეული საფარისაგან და შესაბამისად პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს მცენარეულ საფარზე და ცოცხალ ორგანიზმებზე ზემოქმედებას, ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები – საწარმოს ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს არ ფიქსირდება არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ან მათი არსებობის ნიშნები

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება - საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული ზემოქმედება არ არის მნიშვნელოვანი.


7. ნარჩენების წარმოქმნა: საწარმოს ფუნქციონირებისას ნარჩენების დაბინძურებით გამოწვეული ზემოქმედება სამუშაოს მასშტაბებიდან გამომდინარე არ არის მნიშვნელოვანი, ოპერირებისას მოსალოდნელია პრაქტიკულად მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა , ტერიტორიაზე დადგმული საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენები პერიოდულად იქნება გატანილი მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის მიერ (გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე)

8. საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი – საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი თითქმის არ არსებობს, შეძენილი არის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (სახანძრო დაფა, ცეცხლმაქრი და ა.შ) , უსაფრთხოების საკითხებზე დასაქმებულებს ჩაუტარდებათ შესაბამისი სწავლება, რომელსაც უზრუნველყოფს საამქროს მეპატრონე.



# შიდა საკადასტრო აზომვითი ნახაზი

მესაკუთრე	მანუჩა ძვალისი
ობიექტის მისამართი	მ. მარტვილი, ს. ძაძუასი
საკუთრების დამადასტურებელი საბუღალტრო	
ფართობი-საბაზისი	1600 მ <sup>2</sup>
თარიღი	06.02.2014 წ.

დაცემულია გუბიანი რაიონით  
ქვემო რაიონის საბაზისი



- 3-1 - ძველი ნაგებობა
- 3-2 - ძველი ნაგებობა
- 3-3 - ნაგებობა
- 3-1 - სახეობი ნაგებობა - 500 -
- 3-2 - სახეობი ნაგებობა - 500 -
- 3-1 - მზის ძაბვის საბაზისი
- 3-4 - სახეობი ნაგებობა



მასშტაბი: 1:500